საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება
„პროგრესულ - დემოკრატიული მოძრაობა“

# წ ე ს დ ე ბ ა

მუხლი 1.ზოგადი დებულებები

1.1. საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „პროგრესულ - დემოკრატიული მოძრაობა“ არის ცენტრისტული იდეოლოგიის პოლიტიკური ძალა და წარმოადგენს საქართველოს მოქალაქეთა ნებაყოფლობით პოლიტიკურ გაერთიანებას.
1.2. საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „პროგრესულ - დემოკრატიული მოძრაობა“ თავის საქმიანობას ახორციელებს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, საქართველოს კონსტიტუციის, „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის, მოქმედი კანონმდებლობის, საერთაშორისო სამართლის, წინამდებარე წესდებისა და საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „პროგრესულ - დემოკრატიული მოძრაობა“-ს ხელმძღვანელი ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების საფუძველზე, მათი სრული დაცვით - თანასწორობის, თანხმობის, კანონიერებისა და სხვა დემოკრატიული პრინციპების გათვალისწინებით.
1.3. საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „პროგრესულ - დემოკრატიული მოძრაობა“ წარმოადგენს იურიდიულ პირს მისი რეგისტრაციის მომენტიდან, აქვს განკერძოებული ქონება, დამოუკიდებელი ბალანსი, სალარე და სავალუტო ანგარიშები საბანკო დაწესებულებებში;
1.4. საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „პროგრესულ - დემოკრატიული მოძრაობა“ აქვს თავისი სიმბოლიკა:
1.4.1. საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „პროგრესულ - დემოკრატიული მოძრაობა“-ს დროშა:
- წარმოადგენს, დროშის ქვედა კიდედან (ლურჯი ფერიდან), დროშის ზედა კიდისკენ (ცისფერში გარდამავალ) ფონზე დატანილ თეთრი ფერის წრეს, რომელიც ძირითადი ფონიდან გამოყოფილია აგრეთვე ლურჯი ფერის წრეწირით, რომლის გარშემოც მოსჩანს ასეთივე ცისფერი და ლურჯი ფერების გარდამავლობის წესით მზის სხივების მსგავსი გამოსახულება. თავად წრეწირის ზედა რკალის გასწვრივ ლურჯი ფერით რკალურად გამოსახულია საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „პროგრესულ - დემოკრატიული მოძრაობა“-ს დასახელება პროგრესულ - დემოკრატიული მოძრაობა. წრეწირის ცენტრში გამოსახულია ჩირაღდანი, რომლის ტარი რუხი ფერისაა, ხოლო ალი გამოსახულია სტაფილოსფერისა და ყვითელის შერეულ, ერთმანეთში გარდამავალ ფერთა შერწყმით. ჩირაღდანის ტარზე ქვემოთ დახრილი თაღისებურ ორ ლურჯ ხაზს შორის გამოსახულია ლურჯი ფერის წარწერა:
საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „პროგრესულ - დემოკრატიული მოძრაობა“-ს სლოგანი - „თქვენგან, თქვენთვის, თქვენთან ერთად!“
წრის ქვედა ნაწილში კი გამოსახულია ლურჯი ფერის შვიდ ქიმიანი ბორჯღალი, რომელსაც ორივე მხარეს მიუყვება ლურჯი ფერის სამ - სამი წრეწირის ქვედა ნაწილის მიმართულებით მიმყოლი ოდნავ მოხრილი ლურჯი შტრიხები.
1.4.2.საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „პროგრესულ - დემოკრატიული მოძრაობა“-ს სლოგანი:
„თქვენგან, თქვენთვის, თქვენთან ერთად!“
1.4.3.საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „პროგრესულ - დემოკრატიული მოძრაობა“-ს ჰიმნი:
კომპოზიტორ მარიკა კვალიაშვილის „დიდება შენდა მამულო.“
1.4.4.საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „პროგრესულ - დემოკრატიული მოძრაობა“-ს ბეჭედი:
არის მრგვალი ფორმის, ზედა რკალის გასწვრივ გამოსახულია საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „პროგრესულ - დემოკრატიული მოძრაობა“-ს დასახელება - პროგრესულ - დემოკრატიული მოძრაობა.

წრეწირის ცენტრში გამოსახულია ჩირაღდანი, ჩირაღდანის ტარზე ქვემოთ დახრილი თაღისებურ ორ ხაზს შორის გამოსახულია საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „პროგრესულ - დემოკრატიული მოძრაობა"-ს სლოგანი „თქვენგან, თქვენთვის, თქვენთან ერთად!", ხოლო წრის ქვედა ნაწილში კი გამოსახულია შვიდ ქიმიანი ბორჯღალი, რომელსაც ორივე მხარეს მიუყვება სამ - სამი წრეწირის ქვედა ნაწილის მიმართულებით მიმყოლი ოდნავ მოხრილი შტრიხები.(ბეჭედი გახლავთ სტანდარტული - შავ-თეთრი)

1.5. საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „პროგრესულ - დემოკრატიული მოძრაობა"-ს იურიდიული მისამართი:
საქართველო, ქ. თბილისი, ქუჩა წინამძღვრიშვილი, N73/ ქ. თბილისი, ქუჩა მარჯანიშვილი, N32, ბინა N5

1.5.1. საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „პროგრესულ -დემოკრატიული მოძრაობა"-ს საკონტაქტო ტელეფონი: 2 95 23 18

მუხლი 2. საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „პროგრესულ დემოკრატიული მოძრაობა"-ს" მიზნები, ამოცანები და მათი განხორციელების ფორმები:

2.1. საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „პროგრესულ - დემოკრატიული მოძრაობა"-ს ძირითადი მიზნები და ამოცანებია:

2.1.1. უმაღლეს ფასეულობათა შესაბამისი, ერთიანი, დემოკრატიული და პროგრესული ქართული სახელმწიფოს ჩამოყალიბება და განვითარება ყველა (სოციალ-ეკონომიკური, პოლიტიკურ სამართლებრივი, უვნებლობა-უსაფთხოების) მიმართულებით;

2.1.2. სახელმწიფოს მშენებლობაში საზოგადოების ბუნებრივი განვითარებისა და მასში საზოგადოების აქტიური მონაწილეობის პრინციპების დამკვიდრება (მათ შორის - სამოქალაქო, პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური თავისუფლების გარანტიების შექმნა და შესაბამისი აქტივობებისათვის მიზანმიმართული ხელშეწყობა და მხარდაჭერა);

2.1.3. ქართული სახელმწიფოს, როგორც ადამიანის პირველადი უფლების - ღვაწლის გაღების უფლების განხოციელების გარანტად - მოვალეობათა აღსრულებისა და პასუხისმგებლობის გრძნობით განმსჭვალულ სახელმწიფო მოხელეთა აპარატის ჩამოყალიბება;

2.1.4. ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა განუხრელი დაცვა;

2.1.5. სახელმწიფოში - ეთნიკური, კონფესიური, კულტურული და ტრადიციული თვითმყოფადობის შენარჩუნება, უმცირესობათა უფლებების დაცვის გარანტიების შექმნა და უზრუნველყოფა;

2.1.6. ოკუპირებული ტერიტორიების დეოკუპაცია მშვიდობიანი მოლაპარაკებების გზით, სახელმწიფოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე მიმზიდველი სოციალ-ეკონომიკური, პოლიტიკურ სამართლებრივი ფონის შექმნა, ჩვენს აფხაზ და ოს ძმებთან ერთად, ჩვენი საერთო „დე იურე" ტერიტორიების „დე ფაქტოდ" რეინტეგრაციისათვის.

2.1.7. სახელმწიფოს ევროპულ სტრუქტურებში გონივრული, აუჩქარებელი და ბუნებრივი ინტეგრაცია საქართველოს საკანონმდებლო ბაზის ევროპულ და საერთაშორისო კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციისა და ჩვენი მოქალაქეებისათვის შესაბამისი საყოფაცხოვრებო პირობების შექმნის გზით;

2.1.8. საქართველოს მოქალაქეებისთვის, ადამიანის ღირსების შესაბამისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის პირობების შექმნა, მცირე და საშუალო ბიზნესის, სოფლის მეურნეობის დარგებისა და ტურიზმის ხელშეწობის გზით, სამუშაო ადგილების შექმნა, საგადასახადო წნეხის შემსუბუქება, როგორც ფიზიკურ ისე იურიდიულ პირთათვის. სოციალური სამართლიანობის დამკვიდრება, ქვეყანაში მძლავრი საშუალო ფენის შექმნით, როგორც ქვეყნის განვითარების მამოძრავებელი ძალისა;

2.1.9.სახელმწიფოს პრიორიტეტულ მიმართულებებად - განათლების, მეცნიერების, ხელოვნების, კულტურის, სპორტის განვითარების გამოცხადება;

2.1.10. მშვიდობიანი და სამართლებრივ-პოლიტიკური საშუალებებით აქტიური მონაწილეობა სახელმწიფოს აღმშენებლობაში.

2.2. მოქმედი კანონმდებლობის პრინციპების დაცვით - „პროგრესულ დემოკრატიული მოძრაობა" -ს მიზნებისა და ამოცანების განხორციელების ფორმებია:

2.2.1. აგიტაცია - პროპაგანდა, ყველა კანონით დაშვებული ხერხითა და საშუალებით;
2.2.2. მონაწილეობა - საპრეზიდენტო, საპარლამენტო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებში;
2.2.3. მონაწილეობა სხვადასხვა პოლიტიკურ აქციებსა და ღონისძიებებში;
2.2.4. ლექცია-სემინარების, კონფერენციებისა და სხვა სახის შეკრებების მოწყობა - საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „პროგრესულ - დემოკრატიული მოძრაობა"-ს საქმიანობის ძირითადი მიმართულებების პოპულარიზაციისათვის;
2.2.5. სახელმწიფოებრივად მნიშვნელოვან საკითხებზე - სოციოლოგიური გამოკითხვების ორგანიზება;
2.2.6.საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „პროგრესულ - დემოკრატიული მოძრაობა"-ს კურსის მხარდამჭერთა მოპოვება;
2.2.7. საქართველოს კანონმდებლობის სრულყოფით, შესაბამისი საერთაშორისო ხელშეკრულებათა შესრულების ხელშეწყობა;
2.2.8. სხვა, ნებისმიერი კანონით დაშვებული მეთოდისა და საშუალების გამოყენება, რაც ხელს შეუწყობს საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „პროგრესულ - დემოკრატიული მოძრაობა" -ს ავტორიტეტისა და პოპულარობის ზრდას. მათ შორის:
- მის ხელთ არსებული ინფორმაცის, საკუთარი პრესცენტრისა და ბეჭდვითი ორგანოს საშუალებით გავრცელებით, პრესასთან, ტელევიზიასთან, რადიოსთან, ინფორმაციის გაცვლა - გავრცელების სამსახურებთან და მედია საშუალებებთან თანამშრომლობით, საგამომცემლო საქმიანობით, საქმიანი, პარტნიორული და ქვეყნისათვის სასარგებლო კონტაქტების დამყარებით, უცხოეთის სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან და პარტიებთან;
2.2.9.ამ მიზნებისა და ამოცანების განხორციელებისათვის საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „პროგრესულ - დემოკრატიული მოძრაობა" საზოგადოების აქტიური ჩართულობითა და მასთან კონსულტაციის საფუძველზე ქმნის პოლიტიკურ პლატფორმას და მასზე დაფუძნებულ პროგრამას, როგორც სამოქმედო გეგმას, ქვეყნის მართვის სადავეების ხელში აღების შემთხვევაში მზადყოფნისათვის და აცხადებს სრულ მზადყოფნას მის ცხოვრებაში გატარებაზე.

მუხლი **3.** საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „პროგრესულ დემოკრატიული მოძრაობა" -ს წევრები, მათი უფლება-მოვალეობანი:

3.1. საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „პროგრესულ დემოკრატიული მოძრაობა" -ს წევრი შეძლება გახდეს საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქე, რომელიც აღიარებს საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „პროგრესულ დემოკრატიული მოძრაობა"-ს წესდებას, იზიარებს და პრაქტიკულად ახორციელებს მის პრინციპებს.
3.2. საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „პროგრესულ დემოკრატიული მოძრაობა" -ს წევრად მიღება ხდება:
საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „პროგრესულ დემოკრატიული მოძრაობა" გამგეობის გადაწყვეტილებით, წევრობის კანდიდატის პირადი (წერილობითი ან/და ზეპირი) განცხადების საფუძველზე საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „პროგრესულ - დემოკრატიული მოძრაობა"-ს წევრთა აღრიცხვის სპეციალურ ბლანკში შეყვანითა და კანდიდატის მიერ ხელმოწერის დადასტურებით ბლანკის შესაბამის გრაფაში;
3.3. საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „პროგრესულ დემოკრატიული მოძრაობა"-ს წევრი მოვალეა:
- განუხრელად დაიცვას საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „პროგრესულ დემოკრატიული მოძრაობა"-ს წესდება და ორგანიზაციული დისციპლინა;
- აქტიური მონაწილეობა მიიღოს საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „პროგრესულ დემოკრატიული მოძრაობა"-ს საქმიანობაში;
- აქტიურად დუჭიროს მხარი საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „პროგრესულ დემოკრატიული მოძრაობა" -ს არჩევნებში;
- ეწეოდეს საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „პროგრესულ დემოკრატიული მოძრაობა"-ს იდეოლოგიის პროპაგანდას და იღწვოდეს მისი რიგების ღირსეული წევრებით შევსებისათვის;

- გადაიხადოს საწევრო შესატანი.(ასეთის შესაბამისი წესით დაწესების შემთხვევაში)
3.4. საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „პროგრესულ დემოკრატიული
მოძრაობა"-ს წევრს უფლება აქვს:
- აირჩიოს ან არჩეულ იქნეს საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „პროგრესულ
დემოკრატიული მოძრაობა"-ს არჩევით ორგანოსა და თანამდებობაზე წინამდებარე წესდებით
განსაზღვრული წესით;
- სურვილისამებრ გავიდეს საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება
„პროგრესულ დემოკრატიული მოძრაობა"-ს რიგებიდან პირადი განცხადების საფუძველზე;
- ისარგებლოს საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „პროგრესულ დემოკრატიული
მოძრაობა"-ს კუთვნილი ქონებით დადგენილი წესით.
3.5. გაასაჩივროს მის მიმართ დისციპლინარული (მათ შორის საქართველოს მოქალაქეთა
პოლიტიკური გაერთიანება „პროგრესულ დემოკრატიული მოძრაობა" - დან გარიცხვის შესახებ)
სასჯელის გამოყენების შესახებ გადაწყვეტილება საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური
გაერთიანება „პროგრესულ დემოკრატიული მოძრაობა" -ს ზემდგომ ორგანოსა და სასამართლოში;
3.6. საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „პროგრესულ - დემოკრატიული
მოძრაობა"-ს წევრობის შეწყვეტა ხდება:
ა)საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „პროგრესულ - დემოკრატიული მოძრაობა"-
ს წევრის საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვით;
ბ)საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „პროგრესულ - დემოკრატიული მოძრაობა"-
ს წევრის მიმართ, სისხლის სამართლის საქმეზე დამდგარი გამამტყუნებელი განაჩენით;
გ)საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „პროგრესულ - დემოკრატიული მოძრაობა"-
ს წევრის სხვა საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკურ გაერთიანებაში გაწევრიანებით;
დ)საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „პროგრესულ - დემოკრატიული მოძრაობა"-
ს წევრობიდან, შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლების არსებობისას - საქართველოს მოქალაქეთა
პოლიტიკური გაერთიანება „პროგრესულ - დემოკრატიული მოძრაობა"-ს წევრის გარიცხვით;
ე)საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „პროგრესულ - დემოკრატიული მოძრაობა"-
ს ------------------------------------------------------------------------ გარდაცვალებით;
ვ)საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „პროგრესულ - დემოკრატიული მოძრაობა"-
ს წევრის პირადი განცხადებით;
ზ)საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა საფუძვლებით.

## მუხლი 4. საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „პროგრესულ - დემოკრატიული მოძრაობა" -ს ორგანიზაციული სტრუქტურა

4.1. საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „პროგრესულ - დემოკრატიული
მოძრაობა" -ს აქვს სტრუქტურული ერთეულები, რომლებსაც წარმოადგენენ: საქართველოს
მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „პროგრესულ - დემოკრატიული მოძრაობა" -ს
რეგიონალური, რაიონული, საორგანიზაციო კომიტეტი, ახალგაზრდული, ქალთა, დევნილთა და
უმცირესობათა ორგანიზაციები, იურიდიული პირის უფლების გარეშე.
4.2. საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „პროგრესულ - დემოკრატიული
მოძრაობა" -ს გამგეობა, სტრუქტურული ერთეულის შესაქმნელად მართავს სხდომას. გამგეობის
სხდომა დამსწრეთა უმრავლესობით იღებს გადაწყვეტილებას 4.1. პუნქტში მითითებული
სტრუქტურული ერთეულების შექმნის, მათი ხელმძღვანელების დანიშვნის, ორგანიზაციული
სტრუქტურის ფორმირებისა და დებულებათა დამტკიცების შესახებ.
4.3. საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „პროგრესულ - დემოკრატიული
მოძრაობა" -ს რეგიონალური ორგანიზაცია შედგება საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური
გაერთიანება „პროგრესულ - დემოკრატიული მოძრაობა"-ს რაიონული ორგანიზაციებისაგან.
საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „პროგრესულ - დემოკრატიული მოძრაობა"-ს
რეგიონალური ორგანიზაციის მოქმედებას ადგილზე წარმართავს საქართველოს მოქალაქეთა
პოლიტიკური გაერთიანება „პროგრესულ - დემოკრატიული მოძრაობა"-ს რაიონული
ორგანიზაციების თავჯდომარეებისაგან შექმნილი ბიურო, რომელსაც ხელმძღვანელობს
საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „პროგრესულ - დემოკრატიული მოძრაობა" -ს
გამგეობის მიერ დანიშნული საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „პროგრესულ -
დემოკრატიული მოძრაობა"-ს რეგიონალური ორგანიზაციის თავმჯდომარე.

4.4. 4.1 პუნქტში მითითებული სტრუქტურული ერთეულების თავჯდომარეები თანამდებობას ტოვებენ მათ მიერ საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „პროგრესულ - დემოკრატიული მოძრაობა" -ს წევრობის ნებისმიერი მიზეზით დაკარგვის ან გამგეობის დავალებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, რის შესახებ გადაწყვეტილებას ღებულობს საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „პროგრესულ - დემოკრატიული მოძრაობა"-ს გამგეობა.

4.5. საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „პროგრესულ - დემოკრატიული მოძრაობა" ხელმძღვანელი და აღმასრულებელი ორგანოები არიან: საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „პროგრესულ - დემოკრატიული მოძრაობა"-ს ყრილობა და საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „პროგრესულ - დემოკრატიული მოძრაობა" -ს გამგეობა;

4.6. საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „პროგრესულ - დემოკრატიული მოძრაობა"-ს მაკონტროლებელი ორგანოა საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „პროგრესულ - დემოკრატიული მოძრაობა"-ს სარევიზიო კომისია.

4.7. საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „პროგრესულ - დემოკრატიული მოძრაობა" -ს ყრილობა წარმოადგენს საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „პროგრესულ - დემოკრატიული მოძრაობა" -ს უმაღლეს ხელმძღვანელ ორგანოს. საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „პროგრესულ - დემოკრატიული მოძრაობა" -ს ყრილობის დელეგატის არჩევა ხდება საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „პროგრესულ - დემოკრატიული მოძრაობა" -ს რეგიონალური, რაიონული, ახალგაზრდული, ქალთა, დევნილთა და უმცირესობათა ორგანიზაციებიდან.

4.8. საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „პროგრესულ - დემოკრატიული მოძრაობა" -ს ყრილობაზე დელეგირების ქვოტა განისაზღვრება საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „პროგრესულ - დემოკრატიული მოძრაობა"-ს გამგეობის მიერ, ისე რომ აირჩეს არანაკლებ 200 დელეგატისა;

4.9. საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „პროგრესულ - დემოკრატიული მოძრაობა"-ს ყრილობის მოწვევა ხდება ორ წელიწადში ერთხელ მაინც;

4.10. საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „პროგრესულ - დემოკრატიული მოძრაობა" -ს ყრილობა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება დელეგატთა არანაკლებ 2/3 - ისა.

4.11. საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „პროგრესულ - დემოკრატიული მოძრაობა"-ს ყრილობა:

- ისმენს, იხილავს და ამტკიცებს საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „პროგრესულ
- დემოკრატიული მოძრაობა" -ს გამგეობის წევრთა ანგარიშებს;
- ამტკიცებს ცვლილებებსა და დამატებებს საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „პროგრესულ - დემოკრატიული მოძრაობა" -ს წესდებაში;
- განსაზღვრავს საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „პროგრესულ - დემოკრატიული მოძრაობა" -ს უმნიშვნელოვანეს ამოცანებს, მოქმედების მიმართულებებსა და ფორმებს;
- ირჩევს ორი წლის ვადით, ღია კენჭისყრით, საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება - „პროგრესულ - დემოკრატიული მოძრაობა"-ს გამგეობას,
- (თავმჯდომარე; პოლიტიკური მდივანი; აღმასრულებელი მდივანი).
- ადგენს საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „პროგრესულ - დემოკრატიული მოძრაობა"-ს წევრთა საწევრო გადასახადის ოდენობას და პერიოდულობას;
- ირჩევს ორი წლის ვადით საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „პროგრესულ - დემოკრატიული მოძრაობა" -ს სარევიზიო კომისიას სამი წევრის შემადგენლობით და საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „პროგრესულ - დემოკრატიული მოძრაობა" -ს სარევიზიო კომისიის თავმჯდომარეს მათი რიცხვიდან;
- ახდენს საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „პროგრესულ - დემოკრატიული მოძრაობა"-ს რეორგანიზაციას, შერწყმას, გაყოფას, თვითლიკვიდაციას;
- საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „პროგრესულ - დემოკრატიული მოძრაობა" -ს ყრილობა გადაწყვეტილებას იღებს დამსწრე დელეგატთა უბრალო უმრავლესობით, გარდა ამ წესდების 7.2.მუხლით განსაზღვრული საკითხებისა, რომელთა გადაწყვეტილებასაც ესაჭიროება დამსწრე დელეგატთა 2/3 -ის მხარდაჭერა.

4.12. საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „პროგრესულ - დემოკრატიული მოძრაობა" -ს რიგგარეშე ყრილობის მოწვევის ინციატივა შეიძლება მოდიოდეს ნებისმიერი

რეგიონალური და რაიონული ორგანიზაციიდან და ტარდება იმ შემთხვევაში, თუ რეგიონალური და რაიონული ორგანიზაციების ნახევარზე მეტი ამას მიზანშეწონილად მიიჩნევს. საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „პროგრესულ - დემოკრატიული მოძრაობა"-ს გამგეობა ვალდებულია ამ ინციატივის შესახებ შეატყობინოს ყველა თავისი ორგანიზაციას და ერთი თვის ვადაში მოიწვიოს საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „პროგრესულ - დემოკრატიული მოძრაობა" -ს რიგგარეშე ყრილობა.

4.13. საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „პროგრესულ - დემოკრატიული მოძრაობა"-ს გამგეობა:

- წარმოადგენს საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „პროგრესულ - დემოკრატიული მოძრაობა"-ს უმაღლეს აღმასრულებელ ორგანოს.

მის შემადგენლობაში შედიან:

საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „პროგრესულ - დემოკრატიული მოძრაობა"-ს თავმჯდომარე;

საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „პროგრესულ - დემოკრატიული მოძრაობა"-ს პოლიტიკური მდივანი;

საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „პროგრესულ - დემოკრატიული მოძრაობა"-ს აღმასრულებელი მდივანი.

საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „პროგრესულ - დემოკრატიული მოძრაობა"-ს გამგეობა ხელმძღვანელობს საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „პროგრესულ - დემოკრატიული მოძრაობა"-ს საქმიანობას, საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „პროგრესულ - დემოკრატიული მოძრაობა"-ს ყრილობებს შორის პერიოდში და აღასრულებს საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „პროგრესულ - დემოკრატიული მოძრაობა"-ს ყრილობის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს.

საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „პროგრესულ - დემოკრატიული მოძრაობა"-ს გამგეობას აქვს საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „პროგრესულ - დემოკრატიული მოძრაობა" -ს ამ წესდების 4.1 პუნქტით განსაზღვრული სტრუქტურული ერთეულების შექმნისა და მათი გაუქმების (აგრეთვე ამ ერთეულების ხელმძღვანელთა დანიშვნისა და განთავისუფლების) უფლება.

საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „პროგრესულ - დემოკრატიული მოძრაობა"-ს გამგეობა ღებულობს საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „პროგრესულ - დემოკრატიული მოძრაობა" -ს ახალ წევრებს ან რიცხავს საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „პროგრესულ - დემოკრატიული მოძრაობა" -ს წევრობიდან, შესაბამისი და საკმარისი სამართლებრივი საფუძვლების არსებობისას;

საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „პროგრესულ - დემოკრატიული მოძრაობა"-ს გამგეობა ამტკიცებს ამ წესდების 4.1 პუნქტით განსაზღვრული ორგანიზაციების დებულებებსა და ახდენს ორგანიზაციულ სტრუქტურის ფორმირებას;

საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „პროგრესულ - დემოკრატიული მოძრაობა" გამგეობა ამტკიცებს საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „პროგრესულ - დემოკრატიული მოძრაობა" -ს ბიუჯეტს, განკარგავს მას და პასუხისმგებელია მის განკარგვაზე;

საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „პროგრესულ - დემოკრატიული მოძრაობა"-ს გამგეობა იწვევს საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „პროგრესულ - დემოკრატიული მოძრაობა" -ს ყრილობას და საკუთარ სხდომას, მათ შორის რიგგარეშეს;

საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „პროგრესულ - დემოკრატიული მოძრაობა"-ს გამგეობა ნიშნავს ფუნქციონალური ჯგუფებისა და სხვა ქვედანაყოფების ხელმძღვანელებს;

საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „პროგრესულ - დემოკრატიული მოძრაობა"-ს გამგეობა ისმენს, იხილავს და ამტკიცებს ფუნქციონალური ჯგუფებისა და სხვა ქვედანაყოფების ხელმძღვანელების ანგარიშს;

საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „პროგრესულ - დემოკრატიული მოძრაობა"-ს გამგეობის წევრის გადარჩევა შესაძლებელია, მხოლოდ მისი ამრჩევი ორგანოს ყრილობის მიერ, თუმცა გამონაკლისს წარმოადგენს და გამგეობის წევრი გაყვანილი უნდა იქნას გამგეობის შემადგენლობიდან ზემოთ აღნიშნული პროცედურის გარეშეც, თუ კი იგი, კარგავს საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „პროგრესულ - დემოკრატიული მოძრაობა"-ს წევრობას ნებისმიერი მიზეზით, სხდომების უმიზეზო, სისტემატიური გაცდენების, მოვალეობის შეუსრულებლობის შემთხვევაში ან/და აშკარა და მიზანმიმართული საზიანო მოქმედებების გამო

საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „პროგრესულ - დემოკრატიული მოძრაობა“-ს წინააღმდეგ, რის შესახებაც გადაწყვეტილებას ღებულობს საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „პროგრესულ - დემოკრატიული მოძრაობა“-ს გამგეობა ხმათა უბრალო უმრავლესობით.

4.14. საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „პროგრესულ - დემოკრატიული მოძრაობა“ -ს გამგეობის წევრის მოვალეობაა:

- მონაწილეობა მიიღოს საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „პროგრესულ - დემოკრატიული მოძრაობა“ -ს გამგეობის სხდომებში;
- მოამზადოს საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „პროგრესულ - დემოკრატიული მოძრაობა“ -ს გამგეობასთან ერთად საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „პროგრესულ - დემოკრატიული მოძრაობა“ -ს ყრილობა და გამგეობის სხდომები.
- უხელმძღვანელოს საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „პროგრესულ - დემოკრატიული მოძრაობა“-ს გამგეობის მიერ განსაზღვრულ გარკვეულ მიმართულებებს, შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს, ორგანიზაციებსა თუ ფუნქციონალურ ჯგუფებს;

საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „პროგრესულ - დემოკრატიული მოძრაობა“ -ს თავმჯდომარის გადაწყვეტილებით წარმოადგინოს საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „პროგრესულ - დემოკრატიული მოძრაობა“, როგორც ქვეყნის შიგნით ასევე ქვეყნის გარეთ.

4.15. საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „პროგრესულ - დემოკრატიული მოძრაობა“-ს თავმჯდომარე:

- წარმართავს საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „პროგრესულ - დემოკრატიული მოძრაობა“ -ს გამგეობის სხდომებს.
- ასრულებს საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „პროგრესულ - დემოკრატიული მოძრაობა“ -ს უმაღლეს წარმომადგენლობით ფუნქციას.
- ახდენს საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „პროგრესულ - დემოკრატიული მოძრაობა“-ს გამგეობის მუშაობის კოორდინაციას.
- სისრულეში მოჰყავს საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „პროგრესულ - დემოკრატიული მოძრაობა“-ს ყრილობაზე და გამგეობის სხდომებზე მიღებული გადაწყვეტილებები;
- იწვევს საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „პროგრესულ - დემოკრატიული მოძრაობა“ -ს რიგგარეშე ყრილობას.
- აუცილებლობის შემთხვევაში თავისი უფლებების დელეგირებას ახდენს საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „პროგრესულ - დემოკრატიული მოძრაობა“-ს გამგეობის წევრებზე.

4.16. საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „პროგრესულ - დემოკრატიული მოძრაობა“ -ს პოლიტიკური მდივანი:

- წარმოადგენს საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „პროგრესულ - დემოკრატიული მოძრაობა“-ს შეხვედრებზე, მედია პროექტებში და ღონისძიებებში, საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „პროგრესულ - დემოკრატიული მოძრაობა“ -ს გამგეობასთან შეთანხმებით.

- მედიაში საუბრობს ან წერს საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „პროგრესულ - დემოკრატიული მოძრაობა“ -ს სახელით.
- გეგმავს საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „პროგრესულ - დემოკრატიული მოძრაობა“ -ს გამგეობის წევრებთან ერთად საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „პროგრესულ - დემოკრატიული მოძრაობა“ -ს ყრილობასა და სხვა პარტიული ღონისძიებებს (კრება, კონფერენცია, აქცია);
- უშუალოდ ხელმძღვანელობს და კოორდინაციას უწევს საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „პროგრესულ - დემოკრატიული მოძრაობა“ -ს საორგანიზაციო კომიტეტს, ახალგაზრდულ, ქალთა, დევნილთა და უმცირესობათა ორგანიზაციებს.
- ყოველდღიურად თანამშრომლობს საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „პროგრესულ - დემოკრატიული მოძრაობა“ -ს გამგეობის დანარჩენ წევრებთან.

4.17. საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „პროგრესულ - დემოკრატიული მოძრაობა" -ს აღმასრულებელი მდივანი:

- წარმოადგენს საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „პროგრესულ - დემოკრატიული მოძრაობა“-ს შეხვედრებზე, მედია პროექტებში და ღონისძიებებში, საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „პროგრესულ - დემოკრატიული მოძრაობა“ -ს გამგეობასთან

შეთანხმებით.
- მედიაში საუბრობს ან წერს საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „პროგრესულ - დემოკრატიული მოძრაობა" -ს სახელით.
- გეგმავს საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „პროგრესულ - დემოკრატიული მოძრაობა" -ს გამგეობის წევრებთან ერთად საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „პროგრესულ - დემოკრატიული მოძრაობა" -ს ყრილობასა და სხვა პარტიული ღონისძიებებს (კრება, კონფერენცია, აქცია);
- უშუალოდ ხელმძღვანელობს და კოორდინაციას უწევს საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „პროგრესულ - დემოკრატიული მოძრაობა"-ს რეგიონული და რაიონული ორგანიზაციების გამართულ და ეფექტურ ფუნქციონირებას.
4.18. საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „პროგრესულ - დემოკრატიული მოძრაობა" -ს სახელით განცხადებას აკეთებს მოძრაობის გამგეობის ნებისმიერი წევრი ურთიერთშეთანხმებული და შეჯერებული პოზიციიდან გამომდინარე, თუ კი გამგეობის ორი წევრი მაინც მისი სამპირიანი შემადგენლობიდან თანხმდება ამ პოზიციაზე.
4.19. საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „პროგრესულ - დემოკრატიული მოძრაობა" -ს სახელით განცხადების გაკეთება შეუძლიათ საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „პროგრესულ - დემოკრატიული მოძრაობა" -ს სხვა თანამდებობის პირებსაც გამგეობასთან შეთანხმების შემთხვევაში.
სხვა მხრივ საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „პროგრესულ - დემოკრატიული მოძრაობა"-ს სახელით გაკეთებული ნებისმიერი განცხადება ითვლება არალეგიტიმურად და მასზე საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „პროგრესულ - დემოკრატიული მოძრაობა" პასუხისმგებლობას ვერ აიღებს.
4.20. საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „პროგრესულ - დემოკრატიული მოძრაობა"-ს სარევიზიო კომისია:
საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „პროგრესულ - დემოკრატიული მოძრაობა" -ს სარევიზიო კომისია პერიოდულად კონტროლს უწევს საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „პროგრესულ - დემოკრატიული მოძრაობა" -ს გამგეობისა და აგრეთვე საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „პროგრესულ - დემოკრატიული მოძრაობა" -ს ყველა სტრუქტურული ერთეულის სამეურნეო და საფინანსო-საბუღალტრო საქმიანობას (დოკუმენტალური რევიზია);
საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „პროგრესულ - დემოკრატიული მოძრაობა" -ს სარევზიო კომისია ანგარიშვალდებულია მხოლოდ საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „პროგრესულ - დემოკრატიული მოძრაობა" -ს ყრილობის წინაშე.

**მუხლი 5. საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „პროგრესულ - დემოკრატიული მოძრაობა"-ს წევრთა და მოძრაობის წარდგინებით არჩეული უპარტიო პირთა მონაწილეობა ხელისუფლების წარმომადგენლობით ორგანოებში**

5.1. ნებისმიერი დონის წარმომადგენლობით ორგანოში არჩეული საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „პროგრესულ - დემოკრატიული მოძრაობა" -ს წევრები ან საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „პროგრესულ - დემოკრატიული მოძრაობა" -ს წარდგინებით არჩეული უპარტიო პირები ვალდებული არიან თავის საქმიანობაში იხელმძღვანელონ საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „პროგრესულ - დემოკრატიული მოძრაობა" -ს საპროგრამო დოკუმენტებში, პლატფორმასა და წესდებაში აღიარებული პრინციპებით;
5.2. წარმომადგენლობით ორგანოებში არჩეული საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „პროგრესულ - დემოკრატიული მოძრაობა" -ს წევრები ან საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „პროგრესულ - დემოკრატიული მოძრაობა" -ს წარდგინებით არჩეული უპარტიო პირები ანგარიშვალდებული არიან საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „პროგრესულ - დემოკრატიული მოძრაობა" -ს გამგეობისა და ყრილობის წინაშე;
5.3. სოფლის, თემის, რაიონულ და საქალაქო წარმომადგენლობით ორგანოებში(ადგილობრივ თვითმმართველობებსა და მმართველობის) ორგანოებში, საკრებულოების დეპუტატობის, რაიონის

გამგებლობის, ქალაქის მერობის, საქართველოს პარლამენტის წევრობის, საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატების დასახელების უფლება აქვთ:
საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „პროგრესულ - დემოკრატიული მოძრაობა" -ს რეგიონულ და რაიონულ ორგანიზაციებს, საორგანიზაციო კომიტეტს, ახალგაზრდულ, ქალთა, დევნილთა და უმცირესობათა ორგანიზაციებს აგრეთვე საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „პროგრესულ - დემოკრატიული მოძრაობა" -ს გამგეობას, რომლებსაც საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „პროგრესულ - დემოკრატიული მოძრაობა" -ს ყრილობის თანხმობით ამტკიცებს საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „პროგრესულ - დემოკრატიული მოძრაობა"-ს თავმჯდომარე.

მუხლი 6. საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „პროგრესულ - დემოკრატიული მოძრაობა" -ს ქონება,ფინანსები და მათი გამოყენების წესი

6.1. საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „პროგრესულ - დემოკრატიული მოძრაობა" -ს ქონებას ქმნის:
6.1.1. საწევრო შესატანი, რომლის შემოღება, ოდენობა, გადახდისა და განაწილების წესი განისაზღვრება საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „პროგრესულ - დემოკრატიული მოძრაობა" -ს გამგეობის მიერ და მტკიცდება საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „პროგრესულ - დემოკრატიული მოძრაობა" -ს ყრილობის მიერ.
6.1.2. ფიზიკურ პირთა შემოწირულობანი, რომლის ოდენობაც არ აღემატება კანონმდებლობით დადგენილ ოდენობას;
6.1.3. „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონით გათვალისწინებული სხვა შემოსავალი;
6.2. საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „პროგრესულ - დემოკრატიული მოძრაობა" -ს ქონების და ფინანსების განკარგვაზე უფლებამოსილი პირია - საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „პროგრესულ - დემოკრატიული მოძრაობა" -ს თავმჯდომარე.
6.3. საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „პროგრესულ - დემოკრატიული მოძრაობა" -ს ქონებისა და ფინანსების გამოყენება ხდება, საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „პროგრესულ - დემოკრატიული მოძრაობა" -ს საწესდებო მიზნების განხორციელებისა და მიღწევის უზრუნველსაყოფად.

მუხლი 7. საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „პროგრესულ - დემოკრატიული მოძრაობა" -ს რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის წესი

7.1. საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „პროგრესულ - დემოკრატიული მოძრაობა" -ს რეორგანიზაციის, შერწყმის, შეერთების ან გაყოფის გზით ან თვითლიკვიდაცია ხორციელდება წინამდებარე წესდებისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;
7.2. საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „პროგრესულ - დემოკრატიული მოძრაობა" -ს რეორგანიზაციისა და თვითლიკვიდაციის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ყრილობა დამსწრეთა ხმების 2/3-ით;
7.3. საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „პროგრესულ - დემოკრატიული მოძრაობა" -ს თვითლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონება ნაწილდება „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად;
7.4. საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „პროგრესულ - დემოკრატიული მოძრაობა" -ს საქმიანობა შეიძლება ასევე შეწყდეს „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება - „პროგრესულ - დემოკრატიული მოძრაობა" -ს

თავმჯდომარე: /ლაშა სტურუა/

მიღების თარიღი: 12 / ივნისი / 2016 წელი

მიმღები ორგანო:

საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება

„პროგრესულ - დემოკრატიული მოძრაობა" დამფუძნებელი ყრილობა.

ქ. თბილისი, მის: ლეონიძის ქ. N 11ა (აკაკი ხორავას სახელობის მსახიობთა სახლი)